

112-ՆԵՐՄՈՒԹ...

N19.

မှတ်ဖော်, ၂၀၁၅



რედაქტორი ლიკა ალაძაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნატალია გელაშვილი, სალომე
გელუტაშვილი, ჰენრიეტა ელიაური, მარიამ ჯობაძე, გვანცა მეშველიანი,
შალვა კუხიანიძე

დიზაინი თეა კუპრაძე

- 112 გხელავთ - SMS და ვიზუალური სარგებლის სარგებლის 83.4-5
- 112-ის SMS და ვიზუალური სარგებლის სარგებლის შესახებ
ვორქშოპი ჩატარდა 83.6
- 112-ის ახალი სარგებლის შესახებ ვიზუალური გაფარგა 83.7
- „გაიღე სისხლი, გადაარჩინე
სიცოცხლე“ 83.8
- 83.9 მარკატორის ფლიკი
- 83.10-11 ეს საინტერაციასოა...
- 83.12-13 ახალიაზი მოქმედი ყველაზე
საჭირო კანონები
- 83.14-15 როგორ გადავთ კონფლიქტი
- 83.16-18 სხვადასტური გენერაცია, როგორც...
- 83.19 ფაფა ძალისა ლენვაზი ტყის სანდრისგან
გადაარჩინა
- 83.20 საუფლებომ ჰასაბის რაცენტი 112-ის ფინანსურისგან
- 83.21 მისამართი...



112 გხელავთ - SMS და ვიდეო ზარის

სარკმისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტის SMS და ვიდეო ზარის სერვისი 27 მარტიდან ხელმისაწვდომია მთელს საქართველოში, 24 საათის განმავლობაში. სერვისი უფასოა და განკუთვნილია მხოლოდ ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისათვის.

„ახალი სერვისი მნიშვნელოვნად შეცვლის ყრუ და სმენადაქვეითებულ პირთა ცხოვრებას, ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებლობას და ინტეგრაციას საზოგადოებაში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კომბლექსური მომსახურება - SMS და ვიდეო ზარი, მხოლოდ სამ ევროპულ ქვეყანაშია დანერგილი: ჩეხეთის რესპუბლიკაში, საფრანგეთსა და მალტაში“, - განაცხადა 112-ის ხელმძღვანელმა, გიორგი ბიჭაშვილმა, ახალი სერვისის პრეზენტაციაზე.

ღონისძიებას 100-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ახალი სერვისის უშუალო ბენეფიციარები.

„112-ის ახალი მომსახურება, ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისათვის, შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს და პირდაპირ პასუხობს, როგორც საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებს, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს“, - აღნიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, არჩილ თალაკვაძემ.

ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო დეტალური ინფორმაცია 112-ის ახალი სერვისის შესახებ, მათ შორის, ვიდეო რგოლები და საინფორმაციო მასალები.



ბი, რომლებიც მარტსა და აპრილში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გავრცელდა. პრეზენტაციის დროს სერვისის მომხმარებელ ყრუ და სმენადაჭვეითებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ ადგილზე დარეგისტრირებულიყვნენ 112-ის მონაცემთა ბაზაში და თავად შემოწმებინათ ახალი მომსახურების გამართულობა.

„გაერო სიამაჟით გააგრძელებს საქმიანობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის და მათთან ერთად. ვფიქრობ, ეს ჩვენი საუკეთესო საქმეა, რადგან სწორედ ასე შევძლებთ ავაშენოთ საზოგადოება, სადაც ყველას უფლება დაცულია, სადაც ადამიანები პატივისცემით ეკიდებიან ერთმანეთს“, - განაცხადა გაეროს ელჩმა საქართველოში ნილს სკოტმა.

112-ის ინიციატივა ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. სერვისის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ყრუთა კავშირი. ხოლო გაეროსა და შვედეთის ელჩებმა მონაწილეობა მიიღეს საინფორმაციო კამპანიაში, რომლის მეშვეობითაც ინფორმაცია ახალი სერვისის შესახებ ვრცელდება სატელევიზიო ეთერსა და სოციალურ მედიაში.

„იმედი მაქვს, რომ მსგავს ინიციატივებს სხვა უწევებებიც განახორციელებენ და საქართველოს საქართველოს სივრცე მალე თანაბრად გახსნილი და ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის“, - განაცხადა შვედეთის ელჩმა საქართველოსა და სომხეთში მარტინა ქუიქმა საინფორმაციო რგოლის გადაღებისას.

112-ის უფასო SMS და ვიდეო ზარის სერვისი განკუთვნილია მხოლოდ ყრუ და სმენადაჭვეითებული პირებისთვის. სერვისით სარგებლობისთვის საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია. სარეგისტრაციო ფორმის შევსება შესაძლებელია 112-ის ვებგვერდზე www.112.ge. ყრუ და სმენადაჭვეითებულ პირებს, გადაუდებელ შემთხვევებში აქვთ შესაძლებლობა მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და ვიდეო ზარის საშუალებით დამოუკიდებლად დაუკავშირდნენ 112-ს. გადაუდებელი დახმარების შესახებ შემოსული შეტყობინება სასწარაფო-სამედიცინო დახმარებას, საპატრულო პოლიციასა და სახანძრო/სამაშველო სამსახურს გადაეცემა. ყრუ და სმენადაჭვეითებული პირებისგან შემოსულ შეტყობინებებს მიიღებენ ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები.





112-ის SMS და ვიდეო ზარის სარვისის შესახებ ვორქშოპი ჩატარდა

2015 წლის, 17 მარტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტში, 112-ის SMS და ვიდეო ზარის სერვისის ტესტირების ფარგლებში ვორქშოპი ჩატარდა.

აღნიშნული ვორქშოპის მიზანს წარმოადგენდა, ყრუ და სმენადაქვეითებული პირების მიერ 112-თან დაკავშირების მეთოდების ტესტირება, SMS და ვიდეო ზარის პროგრამების ხარვეზების გამოვლენა და უშუალოდ პროექტის ბენეფიციარების მიერ სარეგისტრაციო ფორმის შესახებ რეკომენდაციების გაწერა.

ვორქშოპში მონაწილეობდნენ 112-ის, UNDP-ისა და ინოვაციური სერვისების ლაბორატორიის თანამშრომლები, ყრუ და სმენადაქვეითებული პირები და უსტური ენის მცოდნე თარჯიმნები.





112-ის ახალი სარვების შესახებ ვიდეო
კლიპის გადაღება

Photos: Vladimer Valishvili/ UNDP Georgia





„გადასახლის ცენტრული სისხლის საცენტრო“

2015 წლის 8 მარტს, შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ის თანამშრომლებმა ლეიკე-მიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად სისხლი გაიღეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აქციაში „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ თითქმის ორი წელია მონაწილეობას. უწყების სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლები მ.იაშვილის სახელობის კლინიკის „სისხლის ბანკის“ დახმარებით ლეიკე-მიით

დაავადებული ბავშვებისთვის სისხლს რეგულარულად აბარებენ.

აღნიშნულ აქციაში სამინისტროს მონაწილეობის მიზანია ლეიკე-მიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირება. სისხლის ჩაბარების აქცია პერმანენტულად იმართება როგორც თბილისში, ისე საქართველოს ყველა რეგიონში და მასში უწყების ყველა დანაყოფის თანამშრომლები მონაწილეობენ.





ბავშვის ბირილი

23 იანვარი 2006

მე (სუზი ბრენტი): სასწრაფო დახმარების ცენტრი გისმენთ, რა გაწუხებთ?

ზარის ინიციატორი: ჩემი შვილი არ წყვეტს ტირილს, მას კბილები ამოსდის!

მე: გასაგებია, როგორ ფიქრობთ რამე სჭიროს თქვენს პატარას? ავად არის?

ზარის ინიციატორი: არა, ის ავად არ არის, მას კბილები ამოსდის!

მე: როგორც გავიგე, თქვენს პატარას კბილი ამოსდის და ამიტომ გსურთ სასწრაფოს გამოძახება, დარწმუნებული ხართ, რომ სხვა არაფერი აწუხებს?

ზარის ინიციატორი: მე მჭირდება რაიმე სახის დახმარება, ის არ წყვეტს ტირილს!

მე: კარგი, ის გონიერაზე? ნორმალურად სუნთქვავს? (მე პარალელურად დავიწყე მსგავსი საქმეების ძეგნა)

ზარის ინიციატორი: რა თქმა უნდა, კარგად სუნთქვავს, არ არის მსგავსი კითხვები საჭირო!

ცალებაზე გაყიდვაზე

17 აპრილი 2006

ზარის ინიციატორი: დილა მშვიდობისა, მე ჯერალდ ბროუნინგი ვარ, გირეკავთ კერძო კომპანიიდან, რომელიც გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარს ყიდის.

მე: კარგით, რა მისამართია?

ზარის ინიციატორი: არა, მე არ მინდა სასწრაფო დახმარების გამოძახება, მე მინდა ჩვენი ახალი პროდუქტის შესახებ გაცნობოთ, დაინტერესების შემთხვევაში, ბროშურებს გამოგიგზავნით.

მე: თქვენ 999-ზე რეკავთ და ცდილობთ მომყიდოთ გადაუდებელი დახმარების-თვის საჭირო ნივთები?


ზარის ინიციატორი: დიას, ეს ხომ სასწრაფო დახმარების ცენტრია?

მე: თქვენ აყიღებთ ხაზს და საფრთხეს უქმნით სხვის სიცოცხლეს, კარგად ბრძანებებით.

**თუ თქვენ შეზღუდული შესაძლებლობის მოვნი პირი ხართ,
არიგებესოვთ, თქვენ მარტო არ ხართ!**

ისტორიაში მრავლად არის მაგალითები, რომელ მინიჭებულობის წელისას შეცდია შემცირებული პირების საზოგადოებაში. ასეთი ადამიანები თოვების ყველა სფეროში გაზიდებოდნენ: მსახიობი, მომსახურებელი, მსოფლიო ლიტერატური და უარის სხვა წილით ადამიანი.

მსოფლიოში მიღონინობთ ადამიანია. რომელისაც დაძლეული აქვთ შეზღუდული შესაძლებლობა უკუღლელურ ქოვრებაში. სხორცი ასეთი ადამიანების შესახებ გვიჩვა, მოგიხსროთ.



ალბერტ აინშტაინი

**გოია
(1776-1828გე)**

ალბერტ აინშტაინი ცნობილი მათემატიკოსი და ფიზიკოსი იყო. მას ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობა სწავლასთან დაკავშირებით და 3 წლის ასაკამდე ვერ მეტყველებდა. სკოლაში უჭირდა წერა და მათემატიკა.



ესპანელი მხატვარი გოია 46 წლის ასაში ავადმყოფობის შედეგად დაყრდნობით, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია და განაგრძობდა ხატვას. მან დიდი და განაკვეთი შეიტანა XIX საუკუნის ცნობილ ესპანურ ხელოვნებაში.

ჯორჯ ვაშინგტონი



ჯორჯ ვაშინგტონს სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევა ჰქონდა. იგი ვერ წერდა და ვერ ახერხებდა გრამატიკის შესწავლას.

**ელენე კალეარი
(1880-1968გე)**



ელენე კალეარი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე იყო. მან მთელი ცხოვრება მიუძღვნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. თავად ელენე, ყრუ-მუნჯი და ბრმა იყო.



ოოლდ ბაიროი

ბრიტანეთის უდიდეს რომანტიკოსს, ლორდ ბაირონს, დაბადები-დანცე ტერფი ჰქონდა დაზიანებული. ამბობენ, რომ მას უჭირდა სიარული. იგი ინტენსიურად მოგზაურობდა ევროპაში და მოიპოვა პოპულარობა თავისი პოეზითა და პიროვნული თვისებებით.



ფედეი ვან

ბათოვოვენი

ბეთჰოვენი, უდიდე-სი გერმანელი კომ-პოზიტორი და მუ-სიკოსი იყო. მუსი-კის დაწყებითი განათლება მან მამისგან მი-იღო, რომელიც ასევე მუსიკოსი იყო. ბეთჰოვენს ჰქონდა რაღაც საიდუმლო ძალა, რო-მელმაც ერთიმეორის მიყოლებით შეაქმნე-ვინა ცნობილი კომპოზიციები. როდესაც გაი-ზარდა, ვენაში გაემგზავრა, სადაც მუსიკა-ლური განათლება გამოჩენილი მუსიკოსე-ბისგან მიიღო. 28 წლის შემდეგ იგი დაყრუ-და. ბეთჰოვენმა შეთხა ბევრი საფორტე-პიანო სონატა, როგორიცაა „ვოლდშტეინი“, „აპასიონატა“ და სხვა.



ოოლდ ელიო

ჰორაციო ნელსონი ბრიტანეთის უდიდესი მეზღვაური, ე.წ. საზ-

ღვაო გმირი იყო. მან მოიპოვა გადამწევეტი გამარჯვებები ტრაფალგართან 1805 წელს და მდ. ნილონის ბრძოლაში 1798 წელს ნაპოლეონის საფრანგეთან. მნიშვნელო-ვანია, რომ მისი კარიერის დიდი ნაწილი და მისი მთავარი გამარჯვებები მოპოვებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობების პირობებში. მან ერთერთ ბრძოლაში დაკარგა მარჯვენა თვალი, ხოლო მოვინარებით მკლავიც ამბუტირებულ იქნა. მან ასე გააგრძელა აქტიური ცხოვრება დაახლოებით 10 წლის განმავლობაში.



**სარა ბერნჰარდი
(1844-1923გ)**

სარა ბერნჰარდი ფრანგი მსახიობი იყო. მას დაზიანებული ჰქონდა მუხლი და 1914 წელს მთლიანად მოკვეთეს ფეხი, მაგ-რამსარამ გააგრძელა სცენაზე თამაშისიკვ-დილამდე. იგი ითვლება საფრანგეთის უდი-დეს მსახიობად. მას „ღვთიურ სარად“ იხ-სწიებდნენ.

ახალიაში მოქმედი ყვალაზე სულელითი კანონები

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა კანონმდებლობრივ მოქმედებს, თუმცა

ზოგიერთ კანონთა კრებულში მოიძებნენ ისეთი კანონები, რომლებიც ჩვენს გაყიდვურებასა და ლიმილს იწვევს. ნარმოვიდებულთ ამერიკაში მოქმედ პველაზე სულელურ კანონებს, რომლებიც ფლემფე ან გაუუქმებიათ.



მისურის შტატის ქალაქ კეითერსონ-სიტიში კატეგორიულად არის აკრძალული ცხენის ან სხვა რომელიმე ცხოველის ჭენება.

ნებრასკის შტატის ქალაქ ომაჰის ექლესიაში მრევლის წევრი თუ დააცემინებს, თუნდაც ცუდად იყოს, მას აუცილებლად დააპატიმრებენ.



სახალისო ისტორიები



აიოვის შტატის ქალაქ დენისონში, თუ ციხეში პატიმარს გააღიზიანებთ, თავადაც გისოსებს მიღმა აღმოჩნდებით.

კანზასის შტატის ქალაქ ტოპიკას კანონებით აკრძალულია სახლში ხუთხე მეტი კატის ყოლა.



მისისიპის შტატში, თუ გაბედავთ და სპილოს ლუდს დაალევინებთ პატიმრობა არ აგცდებათ.



კალიფორნიის ერთ-ერთ ქალაქში, ჯარიმის გადახდა მოგიწევთ, თუ აუზში ველოსიპედით გაისეირნებთ.



როგორ გადავაწყოთ პონფლიქტი

კონფლიქტის მოგვარების უნარი ძვირფასი თვისებაა. კონფლიქტის მიზეზი ადამიანებს შორის ერთია - ინტერესების შეჯახება. იმისათვის, რომ გადავჭრათ კონფლიქტი უნდა ვმართოთ ის.

საკითხის დახურვა

ითვალისწინებს მხარეთა მიერ ერთმანეთის პოზიციების დაინტერესებულ და კეთილგანწყობილ გაცნობას, ერთ-ერთი (ან ორივე) მათგანის მართებულობის საერთო აღიარებას და ამის საფუძველზე კონფლიქტის შეწყვეტას. მოცემული მეთოდი გამოსაყენებელია იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია ობიექტური სიმართლის საკმარისად დამაჯერებელი დადგენა (ძლიერი არგუმენტების არსებობისას, სამეცნიერო კამათში, საარბიტრაჟო პროცესზე და ა.შ.).

ძალისმიერი ზეწოლა

იძულების მეთოდი: ადმინისტრაციული, ეკონომიკური, მორალური. ეს მეთოდი

მოითხოვს, რომ ხელმძღვანელი ფლობდეს ძალაუფლებას ან შეუვალ ავტორიტეტს. ეს მეთოდი ამართლებს იმ შემთხვევაში, როცა პრობლემის ღრმად შესასწავლად დრო არ არის (საგანგებო სიტუაციები, კრიზისული სიტუაციები და ა.შ.). ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ, როგორც წესი, ძალისმიერი ზემოქმედება კონფლიქტს მხოლოდ ახშობს და მცირეოდენი შესაძლებლობისთანავე, შეიძლება იფეთქოს ორმაგი ძალით.

წინააღმდეგობათა გასწორება

ჩვეულებრივ, გულისხმობს შუამავლის მონაწილეობას, რომლის ამოცანაა „უთანხმოებათა შემცირება, საერთო „დამშვიდება“, შეხების წერტილების პოვნა და სხვა. ეს მეთოდი კარგია, როცა ატმოსფერო არ არის ძალიან დაძაბული, არ არის აგრესიულობა, ანტაგონიზმი. მოქმედებების შედეგიანობა ბევრადაა დამოკიდებული შუამავლის პიროვნულ თვისებებზე, აგრეთვე საკითხის გადასაწყვეტად მის მზადებითნასა და კვალიფიკაციაზე.

მოძრაობა ერთმანეთისკენ

კომპრომისის: დათმობების, ვაჭრობის, მეორე მხარის მიერ დათმობის სანაცვლოდ მოთხოვნების ნაწილზე უარის თქმის გზა. კომპრომისი შეიცავს სერიოზულ შინაგან წინააღმდეგობებს: ერთის მხრივ, შესაძლებელი ხდება კონფლიქტის მოწესრიგება, მეორეს მხრივ, მათი წარმოშობის მიზეზები გადაუჭრელი რჩება. ამიტომაც კომპრომის განიხილავენ როგორც დროებით, ტაქტიკურ ზომას. გარდა ამისა, კომპრომისი არ მუშაობს იქ, სადაც არსებობს ობიექტური ჭეშმარიტება, რომლის შესახებაც მოლაპარაკება შეუძლებელია.

თავი თვით კამათს. კონფლიქტის დროს პოლემიკაში შესვლით, ადამიანები მთელ ძალას ხარჯავენ არა ჭეშმარიტების დადგენაში, არამედ თავის სასარგებლოდ ახალი არგუმენტების გამოგონებაში. ამგვარად იზრდება წინააღმდეგობები. წარმოიქმნება მოგადოებული წრე: დავის საკუთარი თავის სასარგებლოდ სწრაფად გადაწყვეტის მიზნით, მხარეები აჭიანურებენ და აღრმავებენ კონფლიქტს. რაც შეეხება, ჭეშმარიტების შესახებ არსებულ ცნობილ გამოწათქვამს, რომელიც „კამათში იბადება“, ალბათ აქ მხედველობაში აქვთ მეცნიერული კამათი, რომელიც მიმდინარეობს იდეალურ პირობებში მყაცრი წესების დაცვით.

კონფლიქტიდან თავის არიდება

ხშირად უველაზე მეტად ეს მეთოდი ჭრის. იმისათვის, რომ თავი ავარიდოთ კამათში დამარცხებას, უმჯობესია ავარიდოთ

წყარო: www.rogor.ge





სხვადი გიყვარებაც, როგორც...

ძალიან ბევრ ადამიანს აქვს სურვილი, გაიგოს რას ფიქრობს მასზე საზოგადოება და როგორია ის მათ თვალში. ეს შესაძლებელია ტესტის საშუალებით, რომელიც საკმაოდ ზუსტია. შეეცადეთ, არ იყოთ მგრძნობიარენი და რეალურად უპასუხოთ კითხვებს.

1. როდის გრძნობთ თავს საუკეთესოდ?

ა) დილით - 2 ქ.

ბ) შუადღეს ან შელამებისას - 4 ქ.

გ) გვიან ღამე - 6 ქ.

გ) ერთი ან ორივე ხელი ბარძაყზე გაჭვთ მოთავსებული - 5 ქ.

დ) ეხებით ან ხელს კრავთ ადამიანს, რომელსაც ესაუბრებით - 7 ქ.

ე) ათამაშებთ ყურს, ეხებით ნიკაპს ან თმას - 6 ქ.

2. თქვენ ყოველთვის დადიხართ...

ა) საკმაოდ სწრაფად, დიდი ნაბიჯებით - 6 ქ.

ბ) საკმაოდ სწრაფად, პატარა ნაბიჯებით - 4 ქ.

გ) ნაკლებად სწრაფად და ირგვლივ ქველაფერს ათვალიერებთ - 7 ქ.

დ) ნაკლებად სწრაფად, დახრილითავით - 2 ქ.

ე) ძალიან წელა - 1 ქ.

4. როდესაც ისვენებთ, თქვენ ზიხართ...

ა) მუხლები მოხრილია და ფეხები მოხდენილად ერთმანეთის გვერდზე - 4 ქ.

ბ) ფეხები გადაჯვარედინებულია - 6 ქ.

გ) ფეხები წინ არის გაწეული და სწორად - 2 ქ.

დ) ფეხები მოთავსებულია თქვენს ქვეით - 1 ქ.

3. როდესაც ადამიანებს ესაუბრებით, თქვენ...

ა) დგახართ და ხელებს კეცავთ - 4 ქ.

ბ) ხელები მჭიდროდ გაჭვთ ერთმანეთთან - 2 ქ.

5. თქვენი რეაქცია, როდესაც რაღაცით ერთობით ან მოგწონთ...

ა) ხმამაღალი სიცილი - 6 ქ.

ბ) სიცილი, მაგრამ არა ხმამაღლა - 4 ქ.

გ) ჩუმი ჩაცინება - 3 ქ.

დ) მოკრძალებული ღიმილი - 5 ქ.

ფსიქოლოგიური ტასტი...

- 6. როდესაც წვეულებაზე ან საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ხართ**
- ა) ხმამაღლი საუბრით იქცევთ კურადღებას - 6 ქ.
 ბ) ჩუმად საუბრობთ და ათვალიერებთ ირგვლივ ვინმე ნაცნობი ხომ არ არის - 4 ქ.
 გ) ძალიან ჩუმად ხართ და ცდილობთ შეუმჩნეველი იყოთ - 2 ქ.
- 7. მუშაობთ მონდომებულად, კონცენტრირებული ხართ და გაწყვეტინება, თქვენ...**
- ა) შეისვერებთ - 6 ქ.
 ბ) გაბრაზდებით და გალიზიანდებით - 2 ქ.
 გ) გარირებთ ამ ორ ემოციას შორის - 4 ქ.
- 8. ფერი, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონთ...**
- ა) წითელი ან ნარინჯისფერი - 6 ქ.
 ბ) შავი - 7 ქ.
 გ) ყვითელი ან ლია ცისფერი - 5 ქ.
 დ) მწვანე - 4 ქ.
- 9. დამე ლოგინში, სანამ ჩაგეძინებათ, თქვენ...**
- ა) წვებით ზურგზე - 7 ქ.
 ბ) წვებით მუცელზე, სახით ქვემოთ - 6 ქ.
 გ) წვებით ცალ გვერდზე და მოღუნული - 4 ქ.
 დ) თავი ხელზე გაჭვით მოთავსებული - 2 ქ.
 ე) ხელები გადასაფარებლის ქვეშ - 1 ქ.
- 10. ხშირად გესიზმრებათ, რომ...**
- ა) ეცემით - 4 ქ.
 ბ) ჩხუბობთ ან იბრძვით - 2 ქ.
 გ) ეძებთ ვილაცას ან რალაცას - 3 ქ.
 დ) დაფრინავთ ან ცურავთ - 5 ქ.
 ე) თქვენ იშვიათად გესიზმრებათ სიზმრები - 6 ქ.
 ვ) თქვენი სიზმარი ყოველთვის სასიამოვნოა - 1 ქ.
- შეაჯამეთ ქულები და გაეცანით შედეგებს:**
- 60 ქულაზე მეტი:** სხვები გიყურებენ, როგორც ხელის გულზე სატარებელი, თქვენ ამბიციური და ლიდერობის მოყვარული ხართ. სხვები შეიძლება აღტაცებულები არიან თქვენით და ოცნებობენ ძალიან გემსგაგსებოდნენ თქვენ, თუმცა შესაძლებელია, ისინი ყოველთვის არ გენდობოდნენ.
- 51-დან 60-მდე:** სხვები გხედავენ, როგორც საინტერესო, იმპულსურ და ცვალებად პიროვნებას. ბუნებრივი ლიდერი, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება, მაგრამ ის ყოველთვის სწორი არ არის. ისინი თქვენ გიყურებენ, როგორც გაბედულ და თავგადასავლების მოყვარულ ადამიანს, რომელიც ყველა შანსს იჟენებს იმისათვის,

რომ გაერთოს და ისიამოვნოს. მათ სურთ, იყვნენ თქვენს გარემოცვაში.

41-დან 50-მდე: სხვები გხედავენ, როგორც ცოცხალ, აქტიურ, ხალისიან, შარმიან და ყოველთვის საინტერესო ადამიანს, რომელიც მუდმივად ყურადღების ცენტრშია და იცის როგორ არ აუგარდეს ეს თავში. ისინი ასევე გხედავენ, როგორც კეთილს, გულისხმიერს და გამგებს, ვისი იმედიც ყოველთვის შეგიძლია გქონდეს.

31-დან 40-მდე: სხვები გხედავენ, როგორც გონიერ, ფრთხილ და ყურადღებიან, ჭიქიან, ნიჭიერ, მაგრამ მოკრძალებულ ადამიანს, რომელიც მეგობრებს მარტივად და ხშირად არ იძენს, მაგრამ ძალიან დამთმობი, ლოიალური და საჭვარელია მათთან და მათგანაც იგივეს ითხოვს. ხშირად ურთიერთობაში თავს იჩენს ნდობის პრობლემებიც, თუმცა დრო შეძლებს ნდობის დაბრუნებას და გატეხილი გულის გამთელებას.

21-დან 30-მდე: მეგობრები გხედავენ, როგორც მონდომებულს და მოუსვენარს. გხედავენ ასევე, როგორც ძალიან

ფრთხილს და ყურადღებიანს, ნელსა და სტაბილურს. თქვენ ნამდვილად შეძლებთ მის გაოცებას თუ რაიმე იმპულსურს გააკეთებთ. ისინი თქვენგან მიჩიეულები არიან, რომ გიყვართ ყველაფრის განსჯა, მაგრამ მაინც საწინააღმდეგოდ იქცევით, შესაძლებელია ეს თქვენი ფრთხილი ბუნების ბრალიც იყოს.

21 ქულაზე ნაკლები: ხალხი ფიქრობს, რომ ხართ მორცხვი, ნერვიული და გაუბედავი. ისინი გთვლიან ადამიანად, რომელსაც მოვლა სჭირდება. ასევე ფიქრობენ, რომ პრობლემებს ზუსტად იქ ხედავთ, სადაც ისინი არ არის. ზოგი კი ფიქრობს, რომ თქვენ მოწყენილი ხართ და მხოლოდ მათ იციან სიმართლე, ვინც თქვენ კარგად გიცნობთ.



დედა ძალლება ლეავაბი ტყის
ხანძრისგან გადაარჩინა



ჩილეში, დედა ძალლმა საკუთარი ცხრა ლეპვი ცოცხლად დაწვას გადაარჩინა. როდესაც იგი მიხვდა, რომ ტყის ხანძრისგან ლექვებს ვერ გამოიყვანდა, დიდი ორმო ამოთხარა და შვილები შიგნით მოათავსა.


დაუკერებელია, მაგრამ ამან გაამართლა. ხანძრის შემდეგ, მოხალისეებმა ცხრავე ლეკვი უგნებელი იპოვეს. მაშველები დაახლოებით ერთი საათის მანძილზე ეძებდნენ ორმოში საფულდაგულოდ გადამალულ ლექვებს.

ამჟამად, უველა ლეკვი დედასთან არის და მათი ციცალეს საფრთხე აღარ ემუქრება.



შეარო:

www.goodnews.on.ge



სააღმომა პასაის რეცეპტი ნინო
ქოჩალაშვილისგან (112-ის დისკაბრი)

შოქზაფეზის წესი:

საფუარში შევურიოთ ცოტა ფქვილი, და-
ვასხათ 600-700 მლ შემთბარი რძე და დავ-
დგათ თბილ ადგილას სანამ არ ამოვა.

კერცხისა და შაქრისგან გავაკეთოთ გოგ-
ლიმოგლი, დავუმატოთ ოთახის ტემპერა-
ტურაზე შემთბარი და გათქვეფილი კარა-
ჭი და კარგად ავთქვიფოთ, დავასხათ დარ-
ჩენილი რძე, საფუარი, დავუმატოთ ყვე-
ლა სანელებელი და შევაზილოთ ფქვი-
ლი. ცომი უნდა გამოვიდეს რბილი.

ჩავასხათ მიღებული მასა ზეთწასმულ ემა-
ლის ჭურჭელში და შევფუთოთ თბილად.
როდესაც ცომი ამოვა გადავზილოთ (ზე-
თიანი ხელებით) და გავაჩეროთ. შემდეგ
ამოსვლაზე ისევ გადავზილოთ, დავუმა-
ტოთ ქიშმიში ან ცუკატებით თვალის ზომით
(ბევრი არ უნდა მოგვივიდეს, რომ რომ
ცომი არ ჩავარდეს) და ისევ გავაჩეროთ.

როგორც კი ცომი ისევ ამოვა, მოვათავ-
სოთ ცხიმწასმულ ფორმებში (1/3 რომ
დაფაროს). როდესაც ცომი ფორმაში
ამოვა, ვიწყებთ ცხობას.

მასალა:

კვერჩი	- 20გ
შაქრი	- 2კგ
რძე	- 2ლ
კარაჭი	- 700გრ
შაფუარი	- 80გრ
მუსკაფი	- 1წ
კარდამონი	- 1წ

შაფრანი - 2წ (შაფრანის კასხავო
წოდე კონიაკს, რომ დასველდეს)

მარილი

ვანილი	- 2 პაკეტი
ზეთი	- 4ს/კ
ფქვილი	- 5,5კგ



ვიზუალური



შეს სხია – 112

ვაშძლისა და რეაგირების
მისამართულონების ერთეულის
ეკონომიკური დაცვის

www.112.ge
112news@112.ge